ი/მ ნატალია ჩაჩიბაია სენაკის
სასტუმრო-რესტორანი „ოსკარი“

სსიპ შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სენაკი
27.09.2017

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი **თეონა ხუფენია** და მეორე მხრივ ი/მ ნატალია ჩაჩიბია რესტორანი-სასტუმრო ,,ოსკარი“ შემდგომში (რესტორანი-სასტუმრო ,,ოსკარი“) რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – **დათო ფარულავა** საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1
მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და ი/მ ნატალია ჩაჩიბაია რესტორანი-სასტუმრო ,,ოსკარი“-ს შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას სტუდენტთასასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით.

აღნიშნული მიზანი გამოიხატება სასწავლო უნივერსიტეტის,,ბუღალტერის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და დარგობრივი კომპონენტების გავლის უზრუნველყოფით.

მუხლი 2
მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად ი/მ ნატალია ჩაჩიბაია რესტორანი-სასტუმრო ,,ოსკარი“იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მათი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობისა და დატვირთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა, თავისი მატერიალურ – ტექნიკური ბაზის, აღჭურვილობის, მასალის და პერსონალის ხელმძღვანელობით, სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოფილი მენტორების (ხელმძღვანელების) მეთვალყურეობის ქვეშ.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებშიმიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის ი/მ ნატალია ჩაჩიბაია რესტორანი-სასტუმრო ,,ოსკარი“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო

უნივერსიტეტის სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და კრიტერიუმებით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .4.

სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულებით.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით , შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

თეონა ხუფენია _____

საკონტაქტო ტელ: 577 41 90 41

მისამართი.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14

ი/მ ნატალია ჩაჩიბაია რესტორანი სასტუმრო ,,ოსკარი"

დირექტორი

დათო ფარულავა _____

საკონტაქტო ტელ: 599 43 19 71

მისამართი: სენაკი,მშვიდობის ქ.N227 ბ.